

დავისვით კონსტიტუცია ბაჟალბეზისაბან

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნო, კონსტიტუციისა და სულისკვეთების არსის მიხანმმართველი გაყალბებით საქართველოს კანონმდებლობაში არსებული შეზღუდვები უცხოელების უფლებაზე, საკუთრებაში ჰქონდეთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, რაც დამყარებულია სამ ძირითად სიყალბეზე. ამათში ყველაზე ფართოდ გამოყენებული (მრავალ ეპიზოდში განმეორებული) არის ის, რომ

ა) სასამართლო ან ლიტონი სიტყვით (ანუ უარგუმენტოდ) უარყოფს ყველა იმ „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებების“ „მნიშვნელოვნებას“, რომლებიც მიმდინარე კანონისთვის იმის საფუძველს წარმოადგენენ, რომ კონსტიტუციის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად საქართველოს მიწის საკუთრებაზე არამოქალაქეების უფლება შეიზღუდოს ან უარყოფილ იქნეს,

ბ) ან აცხადებს, რომ ვერ დგინდება „ლოგიკური კავშირი“ კონკრეტულ მიწის განუკითხავ გაყიდვასთან დაკავშირებული ხიფათის შემცველ გარემოებასა და კონსტიტუციის ტერმინოლოგიით, „აუცილებელ საზოგადოებრივ ინტერესს“ შორის. ზოგჯერ ასეთი ლიტონი მსჯელობა გარეგნულად დამაჯერებელი ჩანს, სახელდობრ, იმ ერთადერთ შემთხვევაში, როცა სასამართლო ფიქრობს, რომ სასოფლო-სამეურნეო შრომის კარგი ორგანიზებისათვის არ არის გადამწყვეტი, ვის ეკუთვნის შესაბამისი მიწა – მოქალაქეს თუ უცხოელს (თუმცა, როგორც ზემოთაც აღინიშნა, სასამართლოს ამ მსჯელობაში სრულებით უგულებელყოფილია საქართველოს მიწის სხვა, არააგრარულ ფუნქციითა არსებობა, რომლებიც სახელმწიფოსა და ერისათვის არა თუ არსებითი, არამედ **სასიცოცხლოდ** არსებითი არიან). ყველა სხვა შემთხვევაში სასამართლო თავის უარგუმენტო არაკომპეტენტურ აზრს გამოთქვამს იმგვარ თემებზე, რომელზედაც მეცნიერული ცოდნა არსებობს, რის შედეგადაც სასამართლოს არა აქვს უფლება უარყოფითი გადაწყვეტილებების მიღებისა (სახელდობრ, მოხმობილ გარემოებათა მნიშვნელოვნობის უარყოფისა) ექსპერტიზის გარეშე. მაგალითად, იმაზე, თუ საქართველოს

ნოდარ ნათაქე, პროფესორი
პაატა კოლუაშვილი, პროფესორი
მიხეილ ჯიბუტი, პროფესორი

მიწის თავისუფალი გაყიდვის შემთხვევაში რა ვადაში მიწის რა პროცენტი აღმოჩნდება უცხოელთა ხელში, სასამართლოს არა აქვს უფლება იმსჯელოს ეკონომისტური ექსპერტიზის დასკვნის გარეშე, ხოლო იმაზე, მიწის რა პროცენტი უნდა გადავიდეს უცხოელთა ხელში, რათა სახელმწიფომ სტრატეგიული ან სოციალური კრახი განიცადოს, სასამართლო ვერ განსაზღვრავს (და არა აქვს უფლება, განსაზღვროს) ვერც ეკონომისტური, ვერც პოლიტიკური, ვერც გლობალურ-პროგნოზისტული და ვერც სტრატეგიული ექსპერტიზის გარეშე. ამასთანავე, რა ზომისა და რა სოციალური შედეგების მომტანი იქნება მიწის ამ გადანაწილებით მოყვებული **ფსიქიკური, მორალური და მსოფლმხედველობრივი ტრავმა** (საქართველოს სოფლის მოსახლეობისათვის ცალკე და მთლიანად მოსახლეობისათვის – ცალკე), სასამართლო ვერ იმსჯელებს ვერც აქსიოლოგიური (ღირებულებათმცოდნეობით), ვერც ფსიქოლოგიური, ვერც სოციო-ფსიქოლოგიური და ვერც სოციოლოგიური ექსპერტიზის გარეშე, ისევე, როგორც ვერც ერთი სასამართლო ვერ იმსჯელებს ბრალდებულის შერაცხადობა-შეურაცხადობის საკითხზე მანამდე, სანამ ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა არ ექნება. 2012 წლის გადაწყვეტილებაში სასამართლო დემონსტრირებულად, ჯიუტად, ურიდოდ მიდის მეცნიერებისა და სასამართლო პროცესში მეცნიერების არსებულ მონაცემთათვის ანგარიშგაწევის სავალდებულობის წინააღმდეგ. 2014 წლის გადაწყვეტილებაში სასამართლო თავის ამ დანაშაულებრივ მიდგომას **ადრმაგებს** და მისი განზოგადების თითქოსდა სამართლებრივი ბაზის შექმნას ლამობს. დადგენილებაში ვკითხულობთ (სამოტივაციო ნაწილი, აბზაცი 9):

„საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების „დამძლევ ნორმად“ მიჩნევისას ის ითვალისწინებს კონკრეტული საქმის გარემოებებს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აფასებს, იმეორებს თუ არა ახალი ნორმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ წარსულში არ-

აკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის შინაარსს. თუ საკონსტიტუციო სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ სადავოდ გამხდარი ნორმა შინაარსობრივად მსგავსია იმ ნორმისა, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით უკვე ცნობილ იქნა არაკონსტიტუციურად, იგი სადავო ნორმას არსებითი განხილვის გარეშე კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ ცნობს. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, „სადავო ნორმების მსგავსება არა მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით უნდა შეფასდეს, არამედ იმ სასამართლებრივი შედეგის მიხედვით, რომელიც შესაძლოა სადავო ნორმებს აერთიანებდეს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 14 დეკემბრის №15/525 განჩინება საქმეზე „მოლდოვის მოქალაქე მარიანაკიკუ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11)“.

გამოდის, რომ, თუ შემთხვევით პირთა კრებულმა, რომელსაც დღეს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო“ ეწოდება, ჩათვალა (ვიმეორებ: მეცნიერების უკითხავად), რომ სოფლის მიწის 5%-ის გადასვლა უცხოელთა ხელში **არ არის** საკმარისად „მნიშვნელოვანი“, რათა კანონმა მიწის გაყიდვაზე შეზღუდვა შემოიღოს, ეს იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან ასევე „უმნიშვნელოდ“, ანუ საკანონმდებლო „გამონაკლისისათვის“ „არასაკმარისად“ ჩაითვლება უცხოელთა მიერ სოფლის მიწის 30%-ის, 50%-ის და 100%-ის დაკავებაც. სასამართლოს მსჯელობა ამ შემთხვევაშიც, ისევე, როგორც თითქმის ყველა სხვათა უმრავლესობაში, ანტიმეცნიერულია თავისი **ფორმითაც** (და არა მხოლოდ შინაარსით), ანუ მოსამართლეები ვერ ფლობენ ვერც მეცნიერული აზროვნების, ვერც, საერთოდ, გამართული აზროვნების ტექნიკას. მაგალითად, სიტყვას „მსგავსი“ მეცნიერული მსჯელობისთვის (და, საერთოდ, აზრობრივად გამართული მსჯელობისთვის) აზრი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უთითებთ, **რომელ** პარამეტრში იდენტობას ნიშნავს „მსგავსება“. მაგალითად, სამკუთხედები მსგავსნი არიან, თუ ფორმით იდენტურნი არიან, მაგრამ ზომით სხვადასხვა. ლიტერატურული სიუჟეტები მსგავსნი არიან, თუ მოქმედების განვითარება ამა და ამ მონაკვეთებში იდენტურია, ან ინტრიგა რაღაცა შემთხვევებში იდენტურია, თუმცა მოქმედ პირთა სახელები განსხვავებულია, და ა.შ. გარდა ამისა, მოსამართლე ვალდებულია იცოდეს, რომ თუ გინდათ რაღაცა ხდომილების თაობაზე სასამართლოს მიერ ერთხელ მიღებული გადაწყვეტილება მექანიკურად გაავრცელოთ სხვა ხდომილებაზე (ხდომილებებზე), ამ ხდომილებათა იურიდიული ში-

ნაარსში (სტრუქტურა) **ურთიერთმსგავსი** კი არ უნდა იყოს, არამედ **ერთი და იგივე** უნდა იყოს, ანუ იდენტური (მაგ. შერაცხადი და შეურაცხადი დამნაშავეს მიერ ჩადენილი ქმედება თუ ორი წვეთი წყალივით ურთიერთმსგავსია, ეს არ აძლევს სასამართლოს, რაგინდარა პრიმიტიულად მოაზროვნეს, იმის საშუალებას, რომ მეორე ხდომილების შემთხვევაში პროცედურაში „ეკონომია“ მოინდომოს და მეორე საქმეზე გადაწყვეტილება, როგორც იტყვიან, „გონების შეუწუხებლად“ პირველის თარგზე წარმართოს. საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელსაც 2012 წლის 26 ივნისის ზემოხსენებული ყალბის ქმნა, ჯერჯერობით, დაუსჯელად შერჩა, როგორც ჩანს, იმედი მისცემია, რომ თავის ამ ერთხელ წარმატებულ ხრიკს სტაბილურ მეთოდად გახდის და ამიერიდან **ყველა** მცდელობას, რომ საქართველოს მიწა განიავებისაგან დაცულ იქნეს, ამ ერთი თაღლითური ხრიკით მოიგერიებს. ეს სასამართლოს მხრიდან არა მხოლოდ შეგნებული არაკეთილსინდისიერებაა, არამედ არაკომპეტენტურად (უმეცრულად) დაგეგმილი არაკეთილსინდისიერებაც. კონკრეტულად: სასამართლოს პგონია, რომ, რაკი მან ერთხელ გადაწყვიტა ერთხმად, რომ უცხოელთა მიერ მიწის შეძენის საშიშროება „უმნიშვნელოა“, და ეს მოხდა მაშინ, როცა უცხოელთა ხელში იყო საქართველოს მიწის 0,5%, მას შეუძლია ამ საფუძველზე არსებითი განხილვის გარეშე გადაწყვიტოს, განჩინების წესით, რომ ეს საშიშროება უმნიშვნელოა მაშინაც, როცა ეს პროცენტი იქნება 50%.

რა პმართებს საქართველოს უზენაეს საკანონმდებლო ორგანოს დღეს, რომ ხსენებული შეთქმულება საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ მოიგერიოს? ამ კითხვის პასუხი სირთულეს არ წარმოადგენს, მაგრამ მის გაცემამდე ერთი კითხვათაღმძვრელი გარემოება უნდა აღვნიშნოთ.

2012 წლის პროცესზე, რომელიც 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით დამთავრდა, „მოპასუხე“, ანუ საქართველოს პარლამენტი არასაკმარისად აქტიური და არასაკმარისად პრინციპული პოზიციით გამოდის, რაც საკმარისია იმ ეჭვისათვის, რომ იმ დროის პარლამენტი (როგორც ცნობილია, ტოტალური გაყალბებით არჩეული და დანაშაულებრივად ერთპარტიულ-ერთსულოვანი) **თანახმაა შერიგებისა საქართველოს მიწის ტოტალურად უცხოელების ხელში გადასვლის პროცესთან**, რომელიც სახელმწიფოსათვის კატასტროფულია და სწრაფად მიმდინარეობს. მისი, ანუ მოპასუხის, წინააღმდეგობა დუნეა და მთავარი იარაღის შეხე-

ბას ერიდება. დოცა მოწინააღმდეგე სთავაზობს აბსურდულ არგუმენტს, ამა და ამ მიმე პერსპექტივაში გამოწვევის კანონმდებლობით განსაზღვრის საჭიროებას ვერ ვხედავო, მოპასუხე არ იმოწმებს **თვალსაყრელად კატასტროფულ** გარემოებებს, რომლებიც ზედაპირზე დევს და რომელთაც სასამართლო, რაგინდარა ინტელექტუალური და ამორალური, **ვერ შეემატება**. სევე იცევა, დაახლოებით, დღევანდელი მოპასუხე – დღევანდელი პარლამენტი. სახელდობრ, მოპასუხე იშველიებს მხოლოდ ერთ არგუმენტს – რომ უცხოელთა მიერ საქართველოს მიწის შეძენის შეჩერების ნორმა მხოლოდ დროებითია, ისიც – მოკლევადიანი, რის გამოც უცხოელის უფლების შელახვა არის „არაინტენსიური“, ხოლო იმ დაბრკოლებებზე კანონის პასუხი, რომლებიც მდგომარეობს კადასტრის ჯერჯერობით გაუმართაობაში, და ა.შ. – „პროპორციული“. არლამენტს შეეძლო და ვაღდეუბულიც იყო, რამდენადაც მიწის კანონმდებლობა მხოლოდ მისი კომპეტენციაა კონსტიტუციის თანახმად, ახალ კონტექსტში და ახალ გარემოებათა მოხმობით დაესაბუთებინა ახლა, არსებულ მდგომარეობაში მიწის თავისუფალი ვაჭრობის კატასტროფული ხასიათი საქართველოს სახელმწიფოსათვის. სხვა სიტყვით: **პარლამენტს შეუძლია კანონის მიერ რეგულირების ახალი ფორმულირებები შემოიტანოს იმ საფუძველზე, რომ ჰორიზონტზე ახალი კატასტროფული შედეგების კონტურები დაეინახეთ**. ინტელექტით სუსტი სასამართლოს კრიმინალური გემოვნების მოსათოკად კი ის კმარა, რომ მოპასუხემ ყველა საჭირო შემთხვევაში **ექსპერტიზა მოითხოვოს**. გარდა ამისა, პარლამენტი ვაღდეუბული იყო და დღესაც არის, რომ მოიაზროს და განახორციელოს საკანონმდებლო ნაბიჯთა პაკეტი, რომელიც საკმარისი იქნება, რათა აღკვეთოს დაწყებული დივერსიის რეალიზაცია და გაღრმავება კრიმინალური ჯგუფის (შეთქმულების) მიერ, რომლებიც ცალსახად იმხილებიან საქართველოს სახელმწიფოს დაღატში სხვა ეპიზოდებშიც (სახელდობრ, სააკაშვილი და პაპუაშვილი) და თავის დღევანდელ ფუნქციებთან მისულნი არიან იმ პროცედურის გაუფელად, რასაც დემოკრატიულად არჩეული კანონიერი პარლამენტის მიერ დამტკიცება ეწოდება.

საქართველოს პარლამენტს ჰმართებდა და ჰმართებს ამავე არსებითი შინაარსის კანონი – საქართველოში მიწის მესაკუთრედ (მცირე გამოწვევისით) მხოლოდ საქართველოს მოქალაქის ყოფნის კანონი – ჩამოაყალიბოს და მიიღოს იმდენჯერ, სხვადასხვა სიტყვებითა და სხვა-

დასხვა გარემოებათა დამოწმებით, რამდენჯერაც მტერი შეძლებს ამა თუ იმ ხროვის ხელით და ამა თუ იმ ხრიკით ამ ნორმის გაუქმებას, როგორც ამჯერად შეძლო. მაიძულებელი გარემოებები მრავალია, ერთიმეორეზე ტრაგიკული, და ყველა მათგანი ბრძოლის საშუალებას იძლევა. მაგალითად, არგუმენტს, რომ მიწის გაყიდვას საქართველოს **მოსახლეობის შეცვლა** მოსდევს, **საქართველოს დეკლარაციის** მოსდევს, შეთქმულთა ვერც ერთი ჯგუფი, თუკი პარლამენტმა იბრძოლა, ვერ დაუპირისპირებს დებილუბისათვის განკუთვნილ შეპასუხებას, „ეს საკმარისად მნიშვნელოვანი გარემოება და „საზოგადოებრივისაჭიროება“ არ არისო“. ასეთი გარემოებები მრავალია (იხ. ზემოთ). პარალელურად, რა თქმა უნდა, პარლამენტმა უნდა შეიმუშავოს საკანონმდებლო ცვლილებები დივერსიისა და დაღატის იმ ტიპის აღსაკვეთად, რომლის მაგალითი ახლა ვიხილეთ, ანუ კანონმდებლობითი წესით ბოლო უნდა მოუდოს

– საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების არაგამჭვირვალობას და

– მის სრულ თავისუფლებას „კონტროლირებისა და საპირწონეების“ (checks and balances) მექანიზმის მოქმედებისაგან.

* * *

საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის დოკუმენტის (დროებითი მორატორიუმის შეჩერება) გაიგივება 2012 წლის სარჩელის თემასთან (უცხოელებისათვის მიწის საკუთრების აკრძალვა) **იურიდიულად სრული ნონსენსია**.

საკონსტიტუციო სასამართლო კვლავ, ისევე როგორც თავის 2012 წლის გადაწყვეტილებაში, მიჰმართავს წინასწარ განზრახულ სიყალბეს (სავარაუდოდ) იმის იმედით, რომ მოპასუხე (პარლამენტი) მას ამ სიყალბეში არ ამხელს (და არა ვერ ამხელს). სახელდობრ, იმოწმებს რა კანონის ნორმას, სასამართლოს განჩინება გვეუბნება (სამოტივაციო ნაწილის აბზ. 3-4): „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 41 პუნქტის მიხედვით, თუ საკონსტიტუციო სასამართლო განმწესრიგებულ სხდომაზე დაადგენს, რომ სადავო ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად, მას გამოაქვს განჩინება საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ წინამდებარე საქმეში, პირველ რიგში, უნდა გადაწყვიტოს სადავო ნორმა წარმოადგენს თუ

არა იმავე შინაარსის ნორმას, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილებით, საქმეზე „დანიის მოქალაქე პეიკე ქრონქეისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, არაკონსტიტუციურად ცნო. სასამართლო ახორციელებს პატარა „სკუპს“ („ლოგიკური სკუპის“ ტიპისას) და ციტატაში ხსენებული „იგივეობის“ ნაცვლად „მსგავსებაზე“ მსჯელობას იწვებს იქვე, აბზ. 9):

„საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების „დამძლევ ნორმად“ მიჩნევისას, ის ითვალისწინებს კონკრეტული საქმის გარემოებებს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აფასებს, იმეორებს თუ არა ახალი ნორმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ წარსულში არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის შინაარსს. თუ საკონსტიტუციო სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ სადავოდ გამხდარი ნორმა შინაარსობრივად მსგავსია იმ ნორმისა, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით უკვე ცნობილ იქნა არაკონსტიტუციურად, იგი სადავო ნორმას არსებითი განხილვის გარეშე კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ ცნობს. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, „სადავო ნორმების მსგავსება არა მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით უნდა შეფასდეს, არამედ იმ სამართლებრივი შედეგის მიხედვით, რომელიც შესაძლოა სადავო ნორმებს აერთიანებდეს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 14 დეკემბრის №1/5/525 განჩინება საქმეზე „მოლდოვის მოქალაქე მარიანა კიკუ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11. ციტირებულია ზემოთაც).

იმის დასაბუთება, რომ იგივეობის (იდენტობის) მოთხოვნის ჩანაცვლება „მსგავსების“ მოთხოვნით

ა) იურიდიულ დოკუმენტში მიუღებელია და რომ

ბ) ამგვარი ჩანაცვლება ტექსტის ავტორთა სრულებით მიუღებელი ლოგიკური გაუნათლებლობის სამხილია,

შეგვიძლია ვიხილოთ აქვე ზემოთ.

აბსურდული (და კანონსაწინააღმდეგო) წანამდვარი, რომ კანონის მიერ მოთხოვნილი ან ნაგულისხმევი „იდენტობის“ (იგივეობის) ჩანაცვლება „მსგავსებით“ დასაშვებია, გასდევს 2014 წლის სასამართლოს გადაწყვეტილების საბოლოო ნაწილს გვერდების მანძილზე და განაპირობებს სასამართლოს ვრცელ ისევ და ისევ აბსურდულ მსჯელობებს, რომელთაც არ ახლავთ არავითარი მითითება რაგინდარა სახის

საკანონმდებლო საფუძველზე. მათ შორის (იქვე, აბზ. 12-13):

„შესაბამისად, სადავო ნორმის „დამძლევ ნორმად“ მიჩნევა და მისი არსებითი განხილვის გარეშე არაკონსტიტუციურად ცნობა, ნორმათა შორის არსებითი შინაარსობრივი მსგავსების შემთხვევაშია დასაშვები, როდესაც სადავო ნორმა სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მსგავსად, იწვევს იგივე კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას, შეიცავს უფლების მზღუდავ მსგავს სამართლებრივ საშუალებებს და იდენტურ სამართლებრივ შედეგს იწვევს. ამასთან, არ არსებობს სხვა ფაქტობრივი ან სამართლებრივი გარემოებები, რომლებიც სადავო ნორმის ხელახალი შეფასების საფუძველს /წინაპირობას/ შექმნიდა.

სადავო ნორმის, საქმის განხილვის პროცესში წარმოდგენილი ინფორმაციის, მოსარჩელისა და მოპასუხის არგუმენტების ანალიზი წარმოაჩენს მნიშვნელოვან მსგავსებებს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმებსა და წინამდებარე საქმეში სადავოდ გამხდარ ნორმას შორის. კერძოდ, ისევე როგორც პლენუმის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად გამოცხადებული ნორმები, მოცემულ საქმეშიც სადავოდ გამხდარი ნორმა ზოგადად კრძალავს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე უცხოელის საკუთრების უფლებას. სადავო ნორმით განსაზღვრული აკრძალვა, მსგავსად წინა შემთხვევისა, ეხება ყველა კატეგორიის სასოფლო-სამეურნეო მიწას და წარმოადგენს ზოგად და აბსოლუტურ (თუმცა დროში შემოფარგლულ) აკრძალვას. ამ კუთხით მასში არ არის მოცემული რაიმე განსხვავებული რეგულირებები. უფრო მეტიც, არაკონსტიტუციურად გამოცხადებული ნორმებისგან განსხვავებით, მოქმედი რეგულირება უფრო ამძიმებს უცხოელი ფიზიკური პირის მდგომარეობას, რადგან არ იძლევა საშუალებას, რომ პირმა, თუნდაც დროებით, მემკვიდრეობით მიიღოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა საკუთრებაში. ამდენად, სადავო ნორმაში მოცემული ქცევის წესი, არსებითად, იგივე შინაარსის შემცველია, როგორი შინაარსიც გააჩნდა საკონსტიტუციოსა სამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმებს.”

საყურადღებოა, რომ იმავე აზრობრივად აბსურდულსა და მიზანმიმართულობით თაღლითურ ოპერაციას – **იგივეობის** (იდენტობის) მოთხოვნის ჩანაცვლებას „მსგავსების“ მოთხოვნით – სასამართლო აგრძელებს მაშინაც, როცა იმეორებს თავისი თაღლითობის მესამესა და ყვე-

ლაზე მძიმე სახეს – უტიფრად ამტკიცებს, რომ საქართველოში მიწის განთავსების პროცესის შეწყვეტის „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება“ (კონსტიტუციის სიტყვებით) არ არსებობს, სახელდობრ, იგი ან „უმნიშვნელოა“ ან მისი კავშირი „ლეგიტიმურ მიზნებთან“ „ლოგიურად“ „არ იკვეთება“. ამას სასამართლო იქმს მიუხედავად იმისა, რომ კანონის და მისი განმარტებითი ბარათის მიერ დამოწმებული საშიშროება ამჯერად შეუდარებლად უფრო მძიმეა, ვიდრე 2012 წელს იყო (იხ. ზემოთ ციტატები). აი, ამ არგუმენტაციის ამჯერად, 2014 წლის ტექსტი (იქვე, აბზ. 14, 16):

„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ 2013 წლის 28 ივნისის №795-III საქართველოს კანონის პროექტის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ „დღევანდელი მდგომარეობით, არსებობს მიწების არარაციონალურად გასხვისების საფრთხე, რამაც შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს სახელმწიფოს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე, გარემოს დაცვასა და ქვეყნის უშიშროებაზე, ასევე, შესაძლოა მნიშვნელოვნად დააზარალოს სოფლის ადგილობრივი მცხოვრებლები. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, განმარტებითი ბარათის თანახმად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, გარკვეული პერიოდით, 2017 წლის 1 იანვრამდე, სახელმწიფოს მიერ შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებამდე, ... უცხოელებსა და უცხო ქვეყანაში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს შეუზღუდეთ მიწებზე საკუთრების უფლების მოპოვება“. როგორც განმარტებითი ბარათიდან ირკვევა, აღნიშნული შეზღუდვის დაწესება თავდაპირველად 2017 წლის 1 იანვრამდე იკვემბოდა, თუმცა სადავო ნორმის მოქმედების ვადა საბოლოოდ 2014 წლის 31 დეკემბრით განისაზღვრა. სწორედ ამ შინაარსით იქნა იგი გასაჩივრებული საკონსტიტუციო სასამართლოში. ამასთან, განმარტებით ბარათში ასევე აღნიშნულია, რომ „ამ უფლების გარკვეული ვადით შეზღუდვის მიზანს, წარმოადგენს სახელმწიფოს საჯარო ინტერესი, უზრუნველყოს მიწის რაციონალური გამოყენების საფუძველზე ორგანიზებული მეურნეობა და აგრარული სტრუქტურის გაუმჯობესება, ასევე, შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებამდე და საკუთრებად მონაცემების მოწესრიგებამდე, თავიდან იქნეს აცილებული მიწების არარაციონალურად გასხვისება და იაფი მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ მასობრივი შესყიდვა“.

„ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონ-

სტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის მიერ დასახელებული ლეგიტიმური მიზნები, რომელთა უზრუნველყოფასაც სადავო ნორმა ემსახურება, არსებითად მსგავსია იმ მიზნებისა, რაც საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლის მიერ №512 კონსტიტუციური სარჩელის („დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქეისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) განხილვისას იქნა დასახელებული“.

სასამართლო თავის უფლებად რაცხს. ამ საშიშროების განხილვის თემის არასოდეს **აღარ დაუბრუნდეს** (ეს თემა გამორიცხულად ჩათვალოს) იმ შემთხვევაშიც კი, თუ დამოწმებული საზოგადოებრივი საჭიროება ის იქნება, რომ საქართველოში N ან M აზიური ქვეყნიდან იმიგრანტმა მოსახლეობამ უკვე 49%-ს მიაღწია და, თუ პროცესი გაგრძელდება, იგი კანონიერი რეფერენდუმით იმ დიდი აზიური ქვეყნის 101-ე შტატიც ხდება!

(ფრჩხილებში შევნიშნავთ, აქვე, რომ მოპასუხე, ანუ დღევანდელი პარლამენტი, თავისი ადვოკატის სახით ან წევრების სახით, ან მოსარჩელის მხარეზე იბრძვის, ან თავის არაკომპეტენტურობას ავლენს, როცა აცხადებს, რომ მისი დასახელებული „ლეგიტიმური მიზნები“ იგივეა, რაც 2012 წლის მოპასუხეს ჰქონდა. ამჟამად ეს ასე არ არის. (აბზ. 16). ხალი გარემოება ის არის, რომ უცხოელთა მიწების ჯამი გამრავალკეცებულია, დანარჩენი გარემოებები კი ისაა, რომ კანონის განმარტებაში შავით თეთრზე დაფიქსირებული საშიშროებები **სხვაა** და შარშანწინდელთან შედარებით **უფრო** მძიმე.

მე-17 აბზაციდან დაწყებული და ქვემოთ სასამართლო ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ დროებითი ხასიათი დავის ახალი საგნისა – (2014 წლის დეკემბრამდე) უცხოელებზე მიწის მიყიდვის შეჩერებისა – არ კმარა იმის საფუძველად, რომ კიდევ ერთხელ არსებით განხილვას დაექვემდებაროს საკითხი უცხოელებზე მიწის გაყიდვის შეზღუდვის ან აღკვეთის კონსტიტუციურობის შესახებ. ეს მცდელობა აგებულია, როგორც მინიმუმი, **ერთ** აშკარად ყალბ წანამდგარზე მაინც. 2012 წელს უცხოელთა საკუთრების განსახილველი შეზღუდვის გადაწყვეტილების ერთ-ერთი აუცილებელი წანამდგარია ის, რომ ყველა ის კონკრეტული „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება“, (კონსტიტუციის სიტყვებით), რომელიც კანონის აზრით, აუცილებელს ხდის მიწაზე უცხოელთა საკუთრების შეზღუდვას ამა და ამ სახით, აღიარებულია **არა უცილებლად** („არა მნიშვნელოვნად“, „ლოგიურად არდაკავშირებულად“ შეზღუდვის რაობასთან) ცალ-ცალკე, 2014 წლის

საქმეში რამდენიმეთვიანი მორატორიუმის განმაპირობებელ „აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებად“ კი დასახელებულია **სხვა** გარემოება – სახელმწიფოს მიერ თავისი შინაგანი ადმინისტრაციული მეურნეობის მოწესრიგების საჭიროება (კადასტრის განხორციელება და სხვა). მაშ რა ლოგიკით მსჯელობს სასამართლო, როცა უნდა a, b და c მოტივთა „უმნიშვნელობის“ დამტკიცების ბაზაზე (იგულისხმება – დინჯი, კვალიფიციური, მეცნიერულად გამართული დამტკიცების, რაც, როგორც ვთქვით, არც 2012 წელს მომხდარა) დაასკვნას, რომ უმნიშვნელოა სხვა, 2014 წელს მოპასუხის მიერ დასახელებული გარემოებებიც? სასამართლოს უფლება ჰქონდა ეს ახალი გარემოებაც განეხილა მისი არსებობის თვალსაზრისით, მაგრამ არ ჰქონდა უფლება მისი (და აურაცხელი სხვა მომავალში აღმოჩენადი გარემოებების) არსებით განხილვაზე უარის თქმისა. **ს გახლავთ კიდევ ერთი იურიდიულად, ზნეობრივად და პოლიტიკურად მიუღებელი შემთხვევა „რქებით“ შეტევისა ჭეშმარიტების ფაქიზ კონსტრუქციაზე უპასუხისმგებლო და უპატიოსანი მოპასუხის – ამ შემთხვევაში, დღევანდელი პარლამენტის – ჩუმ-ჩუმად დახმარების იმედით.** ამ მძიმე ბრალდების რეალურობის ილუსტრაციისათვის საკმარისია განიხილების შემდეგი სიტყვები (აბზ. 41):

„მოცემულ შემთხვევაშიც, მოპასუხემ ვერ წარმოადგინა არგუმენტაცია, რომელიც წარმოაჩენდა კავშირს უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენის აკრძალვასა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის აღრიცხვას ან სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის განკარგვის პოლიტიკის შემუშავებას შორის“.

მაგრამ ეს „კავშირი“ ამ შემთხვევაში იმდენად თვალსაჩინოა, რომ სასამართლო, რაგინდ დაბალი IQ-ს („ინტელექტუალობის ხარისხის“) მქონე, ვალდებული იყო, იგი საკუთარი გონებით დაენახა.

სასამართლოს ამ მანკიერი სტრატეგიის ბუნებრივი თანმხლებია ისეთი აბსურდული განმარტებები, როგორიცაა მაგ. აბზ. 22, რომელიც სასამართლოსა ზრით, აღნიშნული მიზნის დამამდაბლებელი არგუმენტია: „კადასტრის დაზუსტება, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სარგებლობის კრიტერიუმების განსაზღვრა და სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება, თავისთავად, არ შეიძლება იქნეს განხილული როგორც თვითმყოფადი ლეგიტიმური საჯარო მიზანი. აღნიშნული ზომები /ქმედებ-

ბი/ წარმოადგენს კონკრეტული მიზნის, საჯარო ინტერესის მიღწევის საშუალებებს.“ (მიზნის მისაღწევი საშუალებაც **მიზანია**, თუმცა შუალედური, არა თავისთავადი. ეს მეოთხეკლასელისთვის ცნობილია).

სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ცინიზმის და ამავე დროს აბსურდის ზეიმიადოკუმენტის სამოტივაციო ნაწილის 23-24-ე აბზაცები. ცინიზმი ის არის, რომ სახელმწიფოს „ეკონომიური უსაფრთხოება“ და „სახელმწიფო უშიშროება“ არის ის „არსებითად იდენტური მიზნები“, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ, თავისი აზრით, სამუდამოდ ამხილა, როგორც არასაკმარისად მნიშვნელოვანი მოტივები მიწის გაყიდვის პროცესის რეგულირების ამოცანის კონტექსტში, რომლებიც რაიმე „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ სტატუსს ვერ დაიმსახურებენ. ბსურდი კი (სახელმწიფო, იურიდიული აბსურდი) ისაა, რომ „არსებითად იდენტური“ და „არსებითად მსგავსი“ კვლავ გაიგივებულია და ეს უწიგნური გაიგივება განიხილებას საფუძვლად ედება, როგორც ერთ-ერთი წანამძღვარი.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის პროცესის მოსარჩელე ვერ მიეკუთვნება ინტელექტუალურად წონადი პირების რიცხვს, რომელთაც შესაძლებლობა აქვთ, ბუნებისაგან ბოძებული, რომ საქართველოს კანონმდებლობის კორექციას შეეწიონ. ეს ცალსახად ჩანს იქიდან, რომ თავის თავხედურ პრეტენზიაში, იგი უცხოელთათვის საქართველოს მიწის შეძენის უფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ იმოწმებს კონსტიტუციის მე-14 მუხლს, თუმცა ამ მუხლის მკაფიო ჩამონათვალში, თუ რისგან ურჩევლად ვართ ადამიანები თანასწორნი, მოქალაქეობა არ არის და ვერ იქნება.

დასკვნის მაგიერ. საკონსტიტუციო სასამართლოს ორივე დოკუმენტის ანალიზმა გვიჩვენა, რომ სასამართლოს მიერ მიწის უცხოელებისათვის მიყიდვის შეზღუდვისა და აკრძალვისაკენ მიმართული ყველა საკანონმდებლო ნორმის ანტიკონსტიტუციურად ცნობის ორივე აქტი არის მიზანმიმართული და ამავე დროს უწიგნური (შეცდომებსა და ულოგიკოებაზე აგებული) დივერსია საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველი ერის მომავლის წინააღმდეგ. მოპასუხეთა (საქართველოს 2012 წლის პარლამენტისა და დღევანდელი პარლამენტის) მოქმედება ორსავე სასამართლო პროცესში (2012 და 2014 წ.წ.) არის **ამოცანისადმი არაადეკვატური** როგორც პასიურობის (მასალის მიზანმიმართულად არასრული მოხმობის), ისე მთავარ, გამანადგურებელ კონტრარგუმენტთა

6. ნათაქი, კ. კოლუაშვილი, მ. ჯიბუტი

და არგუმენტთა არგამოყენების მხრივ. დღევანდელმა პარლამენტმა, კერძოდ, **შეარჩინა** საკონსტიტუციო სასამართლოს უხეში უღოგიკობები და კანონდარღვევები პროცესუალურის ჩათვლით. დღეს საქართველოს პარლამენტი ვალდებულია

იქიდან გამომდინარე, რომ

– გამოჩნდა და გაცნობიერდა ახალი კატასტროფული შედეგები, რომლებიც გარდუვალად მოპყვება საქართველოს მიწის უცხოელებზე გაყიდვის ფართოდ გაშლილ პროცესს, და,

– როგორც გამოირკვა, მიწის უცხოელებზე გაყიდვის შეზღუდვისა და აკრძალვის პრაქტიკა, რეალურად, უფართოესად გავრცელებულია მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების კანონმდებლობაში,

შეიმუშაოს და მიიღოს ახალი საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც დაიცავენ საქართველოს მიწას განიავებისაგან, და დააკანონოს ეს ნორმები.

საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან ხსენებული ახალი მარეგულირებელი ნორმების არაკონსტიტუციურად ჩათვლის მცდელობის (ანუ ახალი სასამართლო პროცესის) შემთხვევაში სასამართლოს მოსთხოვოს მეცნიერული ექსპერტიზის დანიშვნა

– ამა და ამ კონკრეტული კანონმდებლობითი ვითარების მოსალოდნელი ეკონომიკური (მიწათსარგებლობითი და მიწათმფლობელობითი) შედეგების შესახებ

– ხსენებულ მიწათსარგებლობით და მიწათმფლობელობით სავარაუდოდ განპირობებულ სოციალურ, დემოგრაფიულ, სტრატეგიულ, გეოსტრატეგიულ და სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ შედეგთა შესახებ

– აღნიშნული შედეგების სოციოფსიქოლოგიური შედეგების შესახებ.

იქიდან გამომდინარე, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მინიჭებული განუკითხაობის უფლებები, რომლებიც, თავისი სიფართოვითა და მნიშვნელობით, მოითხოვს შესაბამისი პირადი შემადგენლობის განსაზღვრას საერთო-სახალხო რეფერენდუმის დონეზე, ექსპერტიზის დანიშვნა უნდა მოხდეს გამჭვირვალედ (ღიად) და მისი დაკომპლექტება უნდა მოხდეს საზოგადოებისათვის სანდო პირთა მონაწილეობით, აგრეთვე მასში უნდა შევიდნენ საზოგადოებისათვის სანდო პირებიც.

საქართველოს პარლამენტი ვალდებულია, შეიმუშაოს და დააკანონოს საკონსტიტუციო სასამართლოს იმპიჩმენტის უფლება და პროცედურა.

პარლამენტი ვალდებულია, ამომწურავად

შეისწავლოს საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან (და ცალკე – მისი თავმჯდომარის მხრიდან) ჩადენილისახელმწიფოს დაღატის საკითხი, რისი ფაქტიც (ამ დაღატისა) ყოფილ-პარლამენტართა წინამდებარე მიმართვაში გამოთქმულია ეჭვის სახით.

პარლამენტი ვალდებულია, ახალი, რაციონალური განსაზღვრა მოიფიქროს და დააკანონოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათათვის და მისი პირადი შემადგენლობის დაკომპლექტებისათვის, რითაც გამოირიცხება შემთხვევით (არაგამჭვირვალედ განსაზღვრულ) პიროვნებათა (ამჟამად უსაზღვრო) უფლებამოსილებები საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესთა სამართლებრივი ხელყოფის სფეროში.

საქართველოს პრეზიდენტი ვალდებულია, თავისი უფლებამოსილებები (კანონმდებლობითი ინიციატივის ჩათვლით) გამოიყენოს აღნიშნული სასიცოცხლოდ აუცილებელი ნაბიჯების განსახორციელებლად.

„მიწა არის შეუცვლელი, გაუმრავლებელი და „ამოწურვადი“ (შეზღუდული) რესურსი (გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის კონსტიტუცია, 21, 73)“. თანამედროვე მსოფლიოში განსაკუთრებით აქტუალური საკითხია მისი ფასი. მოსახლეობის ზრდასთან და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად მცირდება დაუმუშავებელი სოფლის მეურნეობის სავარგულები და, აქედან გამომდინარე, იწურება რესურსიც. ამიტომაც მიწის განუსაზღვრელი ოდენობით გასხვისება უცხოელებზე ქვეყნის სასიცოცხლო ამოცანებთან და საზოგადოებრივ ინტერესთან **შეუთავსებელია**. იგი ყოველთვის უნდა იყოს კონტროლირებადი სახელმწიფოს მიერ. „მიწა არის არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური და კულტურული ფასეულობა“ (ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება უცხოელის მიერ უძრავი ქონების შეძენის კანონის კონსტიტუციურობის შესახებ *Landesgesetzblatt R. 88/1994*).

მხოლოდ საქართველოს გადასაწყვეტია მისი მიწის კანონმდებლობის სტრუქტურა (**სადაც თანამედროვეობასთან მორგებულად ასახული იქნება ის შეზღუდვები, რომლებიც ეხება უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისებას**). ხელისუფლება კანონმდებლობას უნდა არეგულირებდეს იმგვარად, რომ დაცული იქნეს როგორც საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების, ასევე, სახელმწიფოს ინტერესები და მათი ბალანსი.

ნუ დაგვავიწყდება:

მოზარეობი კონსტიტუციის შესახებ

- კონსტიტუცია არის ყველაზე დიდი კანონი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს რაობას
- კონსტიტუციის ხარისხი არის ერთერთი ყველაზე დიდი საზომი, რომელიც განსაზღვრავს ერის ხარისხს
- კონსტიტუციის კეთილსინდისიერი ინტერპრეტაცია არის ერთერთი ყველაზე დიდი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ერისა და სახელმწიფოს აწმყოსა და მომავალს.

TO PROTECT THE CONSTITUTION FROM FALSIFICATION

NODAR NATADZE, Professor
PAATA KOGUASHVILI, Professor
MICHAEL JIBUTI, Professor

The Constitutional Court by its 2012 and 2014 decisions, deliberately falsified the spirit of the Constitution, when a wrong interpretation of the Article 14 was made, which legalizes the principle of equality of human beings (as we say, in the face of God the human equality) ancient humanistic principles. The Constitution does not justify the equality of all human beings with respect to the all subjects, for example, it does not say that black colored John and white colored Alexander have the same rights towards to John's house.

According to the authors, can be formed such legislation, which allows foreigners to own land, but only with certain restrictions. It is necessary to make a number of changes in the Georgian law “about the agricultural land” in which will be reflected limitations which are adjusted to the modern terms and cover the alienation of the agricultural land to the foreigners.